**წერილი#: GE001-CE-OT-LET-0208** **თარიღი: 20.11.2019**

სად: გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

ვის: ქ-ნ ნინო თანდილაშვილი, მინისტრის მოადგილე

მისამართი: #6 მ. გელოვანის გამზ.

საგანი: სკრინინგის განცხადება, ქუთაისი-ალპანა-მამისონის გზის (გზის) ნამახვანი-ალპანას მონაკვეთზე

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, შპს „ენკა რინიუებლს" (კომპანია), ნამახვანის ჰესების კასკადის პროექტის ფარგლებში (პროექტი) ახორციელებს ქუთაისი-ალპანა-მამისონის გზის (გზის) ნამახვანი-ალპანას მონაკვეთს (გზის მონაკვეთი), საქართველოს მთავრობასთან, 2019 წლის 25 აპრილს გაფორმებული მშენებლობის, ფლობის და ოპერირების (BOO) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

აღნიშნულ მონაკვეთზე გაცემულია 2017 წლის 20 აპრილის ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა N25, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2017 წლის, 21 აპრილის N209 ბრძანებით.

საქართველოს გზების დეპარტამენტთან შეთანხმებული, პირველად პროექტში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე, კომპანიამ ოფიციალურად მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 4 ივლისს / 8 აგვისტოს, არსებული ეკოლოგიური ექსპერტიზის #25 დასკვნის ვალიდურობის დასაზუსტებლად და შემდგომი რეკომენდაციების მისაღებად.

№ 16707
"21" 11 2019
2/Cb ფ.
+ 02 +

ENKA Renewables LLC
Georgia, City Tbilisi, Vazha Pshavela avenue #71,
block #1, floor5,
sector/office #29, ID: 404507495

**შპს ენკა რენიუებლს**
ვაჟა ფშაველას #71, ბლოკი 1, სართ.5, ოფისი 29
თბილისი, საქართველო
ს/კ: 404507495

ENKA RENEWABLES

საპასუხოდ, 2019 წლის 17 ოქტომბერს მივიღეთ სამინისტროს #10173/01, რომლითაც გვეცნობა რომ გზის მონაკვეთის პროექტში გათვალისწინებული ცვლილებები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოგიდგენთ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებულ სკრინინგის განცხადებას და გთხოვთ, უზრუნველყოთ შესაბამისი პროცედურა გადაწყვეტილების მისაღებად.

**პატივისცემით,**

**ბარან ოზგენ**

**პროექტის მენეჯერი**


ENKA Renewables LLC
Georgia, City Tbilisi, Vazha Pshavela avenue #71, block #1, floor5, sector/office #29, ID: 404507495

**შპს ენკა რენიუებლს**
ვაჟა ფშაველას #71, ბლოკი 1, სართ.5, ოფისი 29
თბილისი, საქართველო
ს/კ: 404507495